

**შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის“ თვითრეგულირების
ორგანოს - „კომისიის“ გადაწყვეტილება**

ქ. თბილისი

18 თებერვალი 2019

კომისიის შემადგენლობა:

მთავარი იურისტი - თამთა მურადაშვილი

მთავარი იურისტი- დიმიტრი საძაგლიშვილი

იურისტი- დაჩი ბერუჩაშვილი

იურისტი - ლიკა მეტრეველი

დაინტერესებული პირი:

სალომე გურგენიძე

აღწერილობითი ნაწილი

დაინტერესებული პირისგან 2018 წლის 9 ნოემბერს შემოვიდა განცხადება/საჩივარი, რომელიც ეხება 2018 წლის 28 ოქტომბერს, 22:15 საათზე ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში გასულ გადაცემას, „კვირის აქცენტებს“, სადაც სტუმრის ამპლუაში, ვიდეოზარით საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩაერთო, რომელიც 22:31 საათზე საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩაერთო, რომელიც 22:31 საათზე სალომე ზურაბიშვილს შემდეგნაირად მოიხსენიებს: „დედაკაცი, უტიფარი დედაკაცი“.

ასევე 2018 წლის 30 ოქტომბერს გადაცემაში „არჩევანი“ მიხეილ სააკაშვილი საუბრობს პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეზე, თამარ ჩუგოშვილზე. ის მას მოიხსენიებს სიტყვით: „გოგო“ და ამბობს ფრაზას: „მოდი გოგო აქ“, რასაც ემატება ჟესტიც, რომელიც ამ კომუნიკაციის ნაწილია. დაინტერესებული პირის თქმით, მსგავსი გამონათქვამების გაშუქების პროცესში მაუწყებლის მხრიდან დაირღვა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მაუწყებლობის კოდექსის მოთხოვნები, კერძოდ „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 56-ე მუხლი და „მაუწყებლობის კოდექსის“ 31-ე მუხლი .

დაინტერესებული პირის პოზიცია:

განცხადების ავტორი აღნიშნავს, რომ სტუმრის მხრიდან მოხდა სექსისტური გამონათქვამების გამოყენება და ოპონენტის არაეთიკური მოხსენიება სქესის ნიშანზე ხაზგასმით. მას [განცხადების ავტორს] მიაჩნია რომ წინამდებარე მაგალითები წარმოადგენს მიზოგინის/სექსიზმის გამოვლინებას და ემსახურება ქალების ინტელექტუალურ შესაძლებლობებისა და უნარების სიმცირეზე ხაზგასმას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ისედაც არსებული სტერეოტიპული განწყობის გაძლიერებას საზოგადოებაში. განცხადების ავტორი განმარტავს, რომ განცხადება სრულიად დაცლილია პოლიტიკური გემოვნების საკითხისგან, და მის მიზანს არ წარმოადგენს დაპირისპირებული პარტიების დავნინება. მისი აზრით, საჩივარი თავისუფალი გამოხატვის არავითარ შეზღუდვას არ ითხოვს, არამედ სამაუწყებლო კომპანიას მიუთითებს ეთიკურ ვალდებულებებზე, მინიმუმამდე დაიყვანოს ისეთი ენის გამოყენების გამჟჰება, რომელიც ნებატიურ შედეგებს ახდენს გარკვეულ ჯგუფზე. ასევე ის აღნიშნავს, რომ გამოყენებული იყო სექსისტური ენა და გადაცემის წამყვანებს ეკისრებათ ვალდებულება შეაჩერონ და აღმოფხვრან რომელიმე სოციალური ჯგუფის დამაკვირებელი კომენტარები. მისი თქმით სექსიზმზე საუბრისას ყურადსალებია არა ტერმინების ზოგადი, ეტიმოლოგიური მნიშვნელობა, არამედ მისი გამოყენება კონკრეტულ კონტექსტში და კონკრეტული მიზნით. სიტყვა „დედაკაცი“, ზოგადად თავის თავში არ მოიცავს შეურაცხყოფას და სასაცილო იქნებოდა არქაული ენის გამოყენებაზე რაიმე სახის პრეტენზია იმ პირებთან მიმართებით, რომელიც აღნიშნულ ტერმინს ნეიტრალური მნიშვნელობით იყენებენ, მაგალითად სასულიერო პირები, რომელთათვისაც არქაული ტერმინების გამოყენება ჩვეული ნორმაა. თუმცა პოლიტიკური ოპონენტი ქალის წინააღმდეგ ამ ტიპის ტერმინის გამოყენება ცალსახად უარყოფითი ქვეტექსტით აკნინებს პოლიტიკოს ქალს, სწორედ იმიტომ, რომ ქალია.

განცხადების ავტორი მეორე ეპიზოდთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „გოგო,, მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირის მიმართ (თამარ ჩუგოშვილი პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა) სიტყვა „გოგოს“ გამოყენება, თანმდევ ჟესტიკულაციასთან ერთად, წარმოადგენს სექსიზმის ნათელ მაგალითს. ის [რესპონდენტი] ცალსახად მიანიშნებს, რომ რესპონდენტ ქალს არასერიოზულად აღიქვამს, ხოლო სიტყვა „გოგოს“ იყენებს პოლიტიკოსი ქალის ინფანტილიზაციის მიზნით, ცალსახად უარყოფითი ინტონაციით, მისი შეურაცხყოფის და მისი დაკნინების მიზნით.

პოლიტიკურ პროცესებში ჩართული პირების მიერ სექსისტური და დისკრიმინაციული ხასიათის გამონათქვამები აკნინებს საზოგადოებრივ, პოლიტიკურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობას და ხელს უშლის გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას, პოლიტიკოსის, როგორც ხალხის ნდობით აღჭურვილი პირის მიერ დისკრიმინაციული ენის გამოყენება წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას ქვეყანაში თანასწორუფლებინობის მიღწევის კუთხით, რასაც რუსთავი 2-ს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მედია საშუალებას, უდიდესი როლი ეკისრება. ადამიანის სქესზე ხაზგასმა ყველანაირი რეალური აუცილებლობის გარეშე, თანაც, ინფანტილური, ან/და არქაული ფორმების გამოყენებით უთუოდ ემსახურება ოპონენტის დამცირებას სწორედ მისი სქესის ნიშნით.

დაინტერესებული პირის თქმით დარღვეულია „მაუწყებელთა შესახებ კანონის” 56-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც „იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისკენ, დისკრიმინაციისკენ ან ამ თვისებათა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას” ასევე „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის” 31-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს „მრავალფეროვნების, თანასწორობისა და შემწყნარებლობის” პრინციპებს, ასევე 33-ე მუხლი „სახელმწიფო რეკომენდაციები მაუწყებლის მიერ მრავალფეროვნების, თანასწორობის და ტოლერანტობის პრინციპების დაცვის შესახებ”. კონკრეტულად კი: „მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს რელიგიური, ეთნიკური, ან სხვა ნიშნის მიხედვით რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა, მათშორის გარკვეული ლექსიკის ან გამოსახულების გამოყენება” ასევე 33-ე მუხლის მე-4 ნაწილი, თუ წყარო პირდაპირ ეთერში ან ახალ ამბებში უსაფუძვლოდ ასახელებს ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიურ მრწამსს, სექსუალურ ორიენტაციას, ოჯახურ ან ქონებრივ მდგომარეობას, სოციალურ კუთვნილებას, ან ნებისმიერ სხვა ნიშანს როგორც პრობლემის გამომწვევ მიზეზს, ან იყენებს შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას რომელიმე ჯგუფის მიმართ, წამყვანი არ უნდა აჰყვეს ასეთ დიალოგებს და შეეცადოს შეურაცხმყოფელი განცხადების ავტორს დაუსვას შეკითხვა გამოთქმული მოსაზრების დასაბუთების მიზნით”.

საჩივრის დასაშვებობა

საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით დაინტერესებული პირი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მაუწყებლობის საქმიანობა.

კომისია აღნიშნავს, რომ ვინაიდან თვითრეგულირების მექანიზმის მიზანია მაუწყებლის საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა, მას წინამდებარე საქმეზეც მიაჩნია, რომ დაშვებულ უნდა იქნეს ქალბატონ სალომე გურგენიძის საჩივარი და განხილულ იქნეს კანონმდებლობის მიხედვით.

სამოტივაციო ნაწილი

სადავო საკითხია რუსთავი 2-ის გადაცემებში რესპონდენტის [მ.სააკაშვილი] მიერ პირდაპირ ეთერში გაუღერებული ფრაზები, მიუხედავად იმისა, რომ მაუწყებელი არ არის პასუხისმგებელი რესპონდენტის გამონათქვამზე. აღნიშნულის შესახებ მიუთითებს თავად საჩივრის ავტორიც.

კომისია განმარტავს, რომ სხვა პირის მიერ, რესპონდენტის, ე.ი იდენტიფიცირებულ წყაროზე გავრცელებული ინფორმაციასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა მედიაში სხვა პირების მიერ გაკეთებული განცხადების გავრცელების საკითხი. Jarsild-ისა (Jarsild v. Denmark, 1994წ.) და Thoma-ს (Thoma v. Luxemburg, 2001წ.) საქმეებზე სასამართლომ განაცხადა, რომ ”ურნალისტის დასჯა სხვა პირის მიერ გაკეთებული განცხადების გავრცელებაში დახმარებისათვის ...

სერიოზულად დააბრკოლებდა პრესას ... და არ უნდა იყოს გათვალისწინებული, თუ არ არსებობს განსაკუთრებით ცალსახა მიზეზები ამისათვის". შესაბამისად, დაუშვებელია ჟურნალისტის/მაუწყებლის დასჯა წყაროზე დაყრდნობით გავრცელებული ინფორმაციის გამო.

მოცემულ შემთხვევაში, რუსთავი 2-ის თვითრეგულირებაში განვიხილავთ არა მედიის [„რუსთავი2-ს“] ბრალეულობას რესპონდენტის მიერ გაკეთებული განცხადებების გამო, არამედ „რუსთავი2-ის“ წამყვანების/ჟურნალისტების მხრიდან ეთიკური სტანდარტების სავარაუდო დარღვევის საკითხს. კერძოდ, მიიღეს თუ ჟურნალისტებმა შესაბამისი ზომები, რესპონდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებების საპასუხოდ და არის თუ არა ზომები, რესპონდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებების საპასუხოდ და არის თუ არა მათი ქმედებები (მოქმედება და/ან უმოქმედობა) „მაუწყებლობის შესახებ“ კანონისა და შესახებ კოდექსის „დარღვევა“. თუმცა, იმისათვის, რომ კომისიამ სწორად „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დარღვევა. თუმცა, იმისათვის, რომ კომისიამ სწორად შეაფასოს გარემოებები და დადგინდეს ჟურნალისტებმა დაარღვიეს თუ არა შეაფასოს გარემოებები და დადგინდეს ჟურნალისტებმა დაარღვიეს თუ არა შეაფასოს „მაუწყებლობის შესახებ“ კანონი და „ქცევის კოდექსის“ რელევანტურ ნორმები, კომისიას „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 56-ე მოსარჩელე მხარემ განცხადებაში მიუთითა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 56-ე მოსარჩელე მუხლის მე-3 პუნქტის შესაძლო დარღვევის შემთხვევაზე. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის შესაძლო დარღვევის შემთხვევაზე. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული გადაცემა „კვირის აქცენტები“ და „არჩევანი“ თავისი შინარსიდან და სარედაქციო დასაბუთებიდან გამომდინარე, არის პოლიტიკური, საზოგადოებრივ-სოციალური პროგრამა, სადაც აქტუალური თემები განიხილება წამყვანებთან და სტუმრებთან ერთად. პროგრამა, სადაც აქტუალური თემები განიხილება წამყვანებთან და სტუმრებთან ერთად. მოსარჩელე მხარემ განცხადებაში მიუთითა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 56-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაძლო დარღვევის შემთხვევაზე. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო სქესის, სექსუალური თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული შეურაცხყოფისკენ, დისკრიმინაციისკენ ან ამ თვისებათა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას".

კომისია თვლის, რომ მაუწყებელს არ დაურღვევია „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 56-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რადგან აღნიშნული გადაცემა მიზნად არ ისახავდა რომელიმე მუხლის დისკრიმინაციას. მოცემულ შემთხვევაში კომისია ყურადღებას ამახვილებს სქესის დისკრიმინაციის ფორმაზე, კერძოდ, ორივე გადაცემა გადიოდა პირდაპირ ეთერში და გადაცემის ფორმაზე, კერძოდ, ორივე გადაცემა გადიოდა პირდაპირ ეთერში მაუწყებელი მოკლებული იყო შესაძლებლობას რესპონდენტის მიერ პირდაპირ ეთერში გაკეთებული განცხადება აერიდებინა თავიდან. აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ გაკეთებული განცხადება აერიდებინა თავიდან. აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ რესპონდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე მაუწყებელი არ აგებს პასუხს [იხ. დასაბუთებაზე].

კომისია მიუთითებს დისკრიმინაციის განმარტებაზე. კერძოდ, დისკრიმინაცია განიმარტება, „როგორც ქმედება, რომელიც უფლებებს ართმევს ან უზღუდავს გარკვეული ნიშნით გამოყოფილ ადამიანთა გარკვეულ კატეგორიას. ის მოიცავს პიროვნებისადმი სხვა ადამიანებისაგან განსხვავებულად ცუდ მოჰყობას მხოლოდ იმიტომ, რომ ის გარკვეულ

ჯგუფს მიეკუთვნება. დისკრიმინაცია შესაძლოა განხორციელდეს გენდერის, რასის, ეროვნების, რელიგიის, სექსუალობის და სხვა ნიშნებით.¹ დისკრიმინაცია, როგორც ქმედება, თავის მხრივ, შეიძლება გულისხმობდეს როგორც მოქმედებას, ისე უმოქმედობას.

გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია კი განმარტება შემდეგნაირად: „გენდერის ნიშნით დისკრიმინაცია გულისხმობს პიროვნების ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქცევას მხოლოდ იმიტომ, რომ ის ერთი გენდერის წარმომადგენელია და არა - მეორის. ის ძირითადად მომდინარეობს იმ სტერეოტიპებიდან, რომელთა მიხედვითაც ერთი სქესის ადამიანი მეორე სქესის ადამიანზე უფრო მაღლა დგას. გენდერის ნიშნით დისკრიმინაცია შესაძლოა შეგვხვდეს როგორც პირად ურთიერთობებში, ისევე საჯარო სფეროში². პიროვნების ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქცევა შესაძლოა გამოიხატოს როგორც მოქმედებაში, ასევე უმოქმედობაში.

სადაც საკითხი, სადაც მიხეილ სააკაშვილი მოიხსენიებს სალომე ზურაბიშვილს სიტყვებით „დედაკაცი, უტიფარი დედაკაცი“, ხოლო თამარ ჩუგოშვილს მიმართავს სიტყვით „გოგო“ ნაკლებად მიუთითებს გენდერულ დისკრიმინაციაზე, რადგან მოცემულ შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილი, როგორც პოლიტიკურად დაპირისპირებული პირი, პოლიტიკური ოპონირების ჭრილში გამოხატავდა საკუთარ სუბიექტურ შეფასებას უშუალოდ კონკრეტული პიროვნებების [ს. ზურაბიშვილი და თ. ჩუგოშვილი], როგორც ოპონენტი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლების მიმართ.

რესპონდენტის ფრაზის შინაარსიდან გამომდინარე ივარაუდება, რომ რესპონდენტის მიზანი არ იყო გენდერული ნიშნით ოპონენტის დისკრიმინაცია. კონტექსტიდან გამომდინარე დგინდება, რომ რესპონდენტმა პირდაპირი ეთერის საშუალებით პასუხი გასცა თამარ ჩუგოშვილის გამონათქვამს. ციტატა რესპონდენტის გამონათქვამიდან: „როდესაც ჩუგოშვილი, ვინმე ჩუგოშვილი იძახის... სააკაშვილის დროს შეუძლებელი იყოო [ხელისუფლების დემოკრატიული გზით გადაბარება], უკაცრავად გოგო..აბა ცოტა მოდი ჭკუაზე, აბა შენ ხელისუფლებაში რანაირად მოხვედი ქალბატონო ჩუგოშვილო“. ანალოგიური კონტექსტი აქვს რესპონდენტის განცხადებებს სალომე ზურაბიშვილთან დაკავშირებით. რესპონდენტის ციტატა: „უტიფარი, გასტროლიორი ქალი, ეს ქალი გამოგვიცხადეს თამარ მეფედ, ეს ქალი ამას [აფხაზეთი, ოსეთი] ეძახის განგრენას“. შესაბამისად, კომისიას მაიხნა, რომ სადაც ფრაზები, არის მხოლოდ რესპონდენტის პოლიტიკური შეხედულების გამომხატველი და ნაკლებად შეიძლება იკვეთებოდეს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის განზრახვა.

საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაძლო დარღვევაზე.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად, მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური

¹ <http://dictionary.css.ge/content/discrimination-gender-based>

² <http://dictionary.css.ge/content/discrimination-gender-based>; Dunneier P., Giddens A. (2009) Introduction to sociology , 7th ed. New York: W. W. Norton & Company Inc, p. 334.

შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე. მაუწყებელს არ გამოუქვეყნებია ჩამონათვალში ნახსენები მასალებიდან არცერთი სახის მასალა, რადგანაც რესპონდენტის მიერ გაკეთებული გამონათქვამები („დედაკაცი“ და „გოგო“) არ შეიძლება ჩავთვალოთ ისეთ მასალად, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 33-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის თანახმად, მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს რელიგიური, ეთნიკური ან სხვა ნიშნის მიხედვით რომელიმე ჯგუფის შეურაცხოფა, მათ შორის, გარკვეული ლექსიკის ან გამოსახულების გამოყენება. ეს მოთხოვნა არ უკრძალავს მაუწყებელს, ხელი შეუწყოს ინფორმირებულ და არაცალმხრივ დისკუსიას შეუწყნარებლობის ან დისკრიმინაციის საკითხებზე, ან გადასცეს ფაქტობრივი მასალა ან საზოგადოებაში რეალურად არსებული მოსაზრება. თუ წყარო პირდაპირ ეთერში ან ახალ ამბებში უსაფუძვლოდ ასახელებს ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიურ მრწამსს, სექსუალურ ორიენტაციას, ოჯახურ ან ქონებრივ მდგომარეობას, სოციალურ კუთვნილებას, ან ნებისმიერ სხვა ნიშანს როგორც პრობლემის გამომწვევ მიზეზს, ან იყენებს შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას რომელიმე ჯგუფის მიმართ, წამყვანი არ უნდა აჰყვეს ასეთ დიალოგს და შეეცადოს შეურაცხმყოფელი განცხადების ავტორს დაუსვას შეკითხვა გამოთქმული მოსაზრების დასაბუთების მიზნით.

კომისია დამატებით მიუთითებს „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-6 პუნქტზე, რომლის მიხედვით „პირდაპირი ეთერის დროს, მაუწყებელმა უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა მიუკერძოებლობის პრინციპის უზრუნველსაყოფად და დროულად აღმოფხვრას ნებისმიერი დარღვევა“.

გადაცემა „კვირის აქცენტების“ წამყვანმა ნიკა გვარამიამ პირდაპირი ჩართვის დროს მოახერხა თემის შეცვლა, რის შედეგადაც რესპონდენტი გადავიდა ახალ თემაზე, კერძოდ დაიწყო საუბარი დავით ბაქრაძეზე (გადაცემის ჩანაწერის დრო-17:10). განცხადების ავტორი მიუთითებს, რომ მიუხედავად წამყვანის მცდელობისა, რეაგირება მაინც არ იყო საკმარისი.

კომისიას მიაჩნია, რომ თავის მხრივ, ის გარემოება, რომ პირდაპირი ეთერის დროს წამყვანმა მიიღო შესაბამისი ზომა, რესპონდენტს შეეწყვიტა საუბარი და გადასულიყო ახალ თემაზე, მიუთითებს წამყვანის მხრიდან ქმედითი ნაბიჯის გადადგმისკენ. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წამყვანის მიერ განხორციელდა ადეკვატური ინტერვენცია და ნიკა გვარამიას ქმედება ჯდება „მაუწყებლის ქცევის კოდექსით“ დადგენილ სტანდარტებში.

რაც შეეხება გადაცემის „არჩევანი“ წამყვანს გიორგი გაბუნიას, მან უშუალოდ გადაცემის წამყვანისას თამარ ჩუგოშვილის მისამართით წარმოთქმული სიტყვაზე „გოგო“, რომელსაც თან ახლდა უესტიკულაცია და ფრაზა „აბა მოდი, მოდი ჭკუაზე“, რაიმე სახის რეაგირება არ გაუკეთებია. თუმცა, მაუწყებლის მხრიდან მიღებულ იქნა ადეკვატური ზომა, რათა იმავე არხის საშუალებით, იმავე საეთერო ზონაში (საუკეთესო დრო) რესპონდენტს მიეცა საშუალება საჯაროდ მოეხადა ბოდიში და მაუწყებელმა მას დაუთმო საკუთარი

პლატფორმა ბოდიშის მოსახდელად. მიხეილ სააკაშვილმა ამ საკითხთან დაკავშირებით 31 ოქტომბერს რუსთავი 2-ის 21:00- საათიანი კურიერის ეთერში განაცხადა, რომ ხანდახან ემოციურად საუპრობს და არასწორ ტერმინლოგიასაც იყენებს, რის გამოც ის ხალხს ბოდიშს უხდის. (გადაცემის ჩანაწერის დრო- 21:46).

გადაცემაში რესპონდენტის მიერ გაყდერებული პირადი შეფასებები პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ არ უნდა იქნეს გაიგივებული მაუწყებლის პოზიციასთან. ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ჟურნალისტები გიორგი გაბუნია და ნიკა გვარამია სრულად იზიარებენ და ეთანხმებიან გენდერული თანასწორობის არსს და არ თვლიან, რომ რომელიმე სქესის წარმომადგენლები რაიმეთი აღემატებიან საწინააღმდეგო სქესს. დამატებით აღსანიშნავია, რომ ნიკა გვარამიამ პირად სოციალური ქსელის, საკუთარ კედელზე გაავრცელა საჯარო შეტყობინება (ე.წ პოსტი), სადაც არ იზიარებდა/უწუნებდა მიხეილ სააკაშვილს გამონათქვამს თამარ ჩუგოშვილის მიმართ.

კომისია აღნიშნავს, რომ აზრისა და გამოხატვის უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუცით. მე-17 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს: а) აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას; ბ) პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლებას“.

დადგენილია, რომ გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს არა მხოლოდ კრიტიკული შეფასებების, მსჯელობებს აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალებას, არამედ გამოხატვის ხერხებს, ფორმებსაც. შესაბამისად აზრი, შეფასება, მსჯელობა შესაძლოა გამოხატული იყოს ცინიზმით, სარკაზმით, იუმორით, პაროდიით და/ან სხვა ფორმით, რაც პირის გამოხატვის თავისუფლების ნებასა და არჩევანზეა დამოკიდებული.

ამასთანავე, „ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას, რათა შეცვალონ მამაკაცისა და ქალის ყოფაქცევის სოციალური და კულტურული მოდელები იმ ცრურწმენებისა და ჩვეულებების, აგრეთვე დანარჩენი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით, რომელიც ემყარება ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის იდეას ან მამაკაცის და ქალის როლის სტერეოტიპულ გააზრებას.

კომისია აღნიშნავს, რომ ვინაიდან მაუწყებელი ვერ შეუზღუდავს სხვა პირს გამოხატვის, თავისუფლებას, მაგრამ ამავე დროს უნდა დაიცვას ის მაღალი სტანდარტები, რაც უზრუნველყოფს მაუწყებლის მხრიდან დისკრიმინაციის თუნდაც აღქმის შესაძლებლობის გამორიცხვას. ჟურნალისტმა უნდა მიიღოს შესაძლო გონივრული ზომა ამგვარი აღქმის გამოსარიცხად. მოცემულ შემთხვევაში, მიგვაჩნია, რომ მაუწყებლის და ჟურნალისტების მხრიდან მიღებულ იქნა შესაბამისი ზომები³ ამგვარი აღქმის გასანეტრალებლად [გადაცემის ფორმატის, პირდაპირი ეთერის გათვალისწინებითაც].

³ ნიკა გვარამიას რეაქცია-თემის შეწყვეტა და სხვა თემაზე გადასვლა, მიხეილ სააკაშვილისთვის საეთერო დროის დათმობა საჯარო ბოდიშისთვის, ნიკა გვარამიას საჯარო ფეისბუქ პოსტი

თუმცა, კომისია მიიჩნევს, რომ თუკი რესპონდენტის მხრიდან ადგილი ექნება სავარაუდო დისკრიმინაციულ გამონათქვამს, სასურველი იქნება ჟურნალისტის მხრიდან აშკარა დისტანცირება ამ გამონათქვამისგან.

კომისიის პრაქტიკაში არის 2016 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება სწორედ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის თემაზე. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში კომისიამ მიუთითა იმ მაღალი სტანდარტის დაცვაზე, რასაც ეფუძნება ტელეკომპანია „რუსთავი2-ის“ სარედაქციო პოლიტიკა. წინამდებარე გადაწყვეტილების დასაბუთებისთვის კომისია მოიხმობს 2016 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების დასაბუთებისას გამოყენებულ სტანდარტს.

კომისია განმარტავს რომ ამა თუ იმ განცხადების შეფასება, როგორც ღირსების შემლახველის ან სხვაგვარად პირის სტატუსის დამრღვევის, უნდა მოხდეს სუბიექტური და ობიექტური კრიტერიუმებით. სუბიექტურ კრიტერიუმებში კომისია მოიაზრებს შეფასების გამკეთებელი პირის ქმედება მიზნად ისახავდა თუ არა კონკრეტული შედეგის დადგომას (ამ შემთხვევაში, გენდერულ დისკრიმინაციას და შეფასება განპირობებული იყო თუ არა შეფასების ადრესატის სქესით), ხოლო ობიექტურ კრიტერიუმებში იგულისხმება ესა თუ ის განცხადება რამდენად შესაძლოა ასეთად აღქმულ იქნეს ნეიტრალური დამკვირვებლების მიერ. განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ კომისიას სარწმუნოდ მიაჩნია, რომ რესპონდენტის მიერ გაუღერებული ფრაზები იყო სავუთარი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფალი რეალიზაცია, რესპონდენტისვე მიერ შერჩეული ფორმით და პოლიტიკური ოპონირების კონტექსტში. რაც შეეხება, ობიექტურ კრიტერიუმებს, კომისია თვლის რომ არც აბიექტური კრიტერიუმით, შეფასება მისი შინაარსის გათვალისწინებით, ნეიტრალურ მიუკერძოებელ მსმენელში არ ტოვებს სექსისტურის შთაბეჭდილებას, ანუ არ არის მკაფიოდ სექსისტური, ვინაიდან ნათელია რომ რესპონდენტის მიერ შერჩეული გამოხატვის ფორმა პოლიტიკური შინაარსისაა და არა გენდერზე ხაზგასმა ქალის დაკნინების მიზნით. თუმცა, კომისია, გამომდინარე საღი აზრიდან და არხის სარედაქციო პოზიციიდან, ასევე მხედველობაში იღებს რა ამ მიმართულებით ქვეყანაში შექმნილი კონტექსტს, აქვე განმარტავს, რომ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევაში, ობიექტური კრიტერიუმის სტანდარტი უფრო მაღალია, ვიდრე ნეიტრალური დაუინტერესებელი დამკვირვებლის პარადიგმა და, იგი სწორედაც რომ, უნდა მოიცავდეს ასევე დაინტერესებულ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან მოწყვლად კატეგორიას და რომელთა აღქმა შეურაცხყოფის თაობაზე კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანიც იყოს, ვიდრე ამ კატეგორიას მიუკუთვნებელი დაუინტერესებელი და ნეიტრალური დამკვირვებლების აღქმა.

შესაბამისად, ჟურნალისტების ქმედება უნდა იყოს მიმართული არა მხოლოდ სავარაუდო დისკრიმინაციული გამონათქვამების განეიტრალებისკენ, არამედ წამყვანის რეაგირება უნდა იყოს მკაფიო და ადვილად ხდებოდეს წამყვანის მიერ დისტანცირების აღქმა, რათა არ დარჩეს საკმარისი სივრცე, არა მხოლოდ დაუინტერესებელი და ნეიტრალური დამკვირვებლის, არამედ უფრო მაღალი სტანდარტით - მოწყვლადი კატეგორიის პირების მიერ, რომ ჟურნალისტის მხრიდან გაზიარებულ იქნა რესპონდენტის მიერ

დისკრიმინაციული გამონათქვამი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოწყვლად პირებში კომისია გულისხმობს სავარაუდო შეზღუდვის ადრესატ დაინტერესებულ პირს/პირებს.

გენდერული თანასწორობა და ამ ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს ტელეკომპანია რუსთავი 2-ის სარედაქციო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს. შესაბამისად, კომისია თვლის, რომ მაუწყებლის წამყვანებმა უნდა მიმართონ უფრო თვალსაჩინო ხერხებს, რომლითაც ადვილად მოხდება იმ ფაქტის დაფიქსირება, რომ წამყვანი არ იზიარებს ისეთ გამონათქვამს, რომელიც თუნდაც მოწყვლადი ჯგუფის თვალში შეიძლება აღქმნულ იქნეს დისკრიმინაციულად. შესაბამისად, ამგვარი თვალსაჩინო ხერხები აღქმადი უნდა იყოს არა მხოლოდ ობიექტური დაუინტერესებელი დამკვირვებლის მხრიდან, არამედ, ასევე მოწყვლადი კატეგორიის პირების მიერაც, მოწყვლადი პირის იმ განმარტების გათვალისწინებით, რაც კომისიამ ზემოთ გააკეთა.

მიუხედავად იმისა რომ გადაცემის წამყვანებმა მიიღეს ადეკვატური ზომები და მიუხედავად იმისა, რომ თავად კომისია არ მიიჩნევს წამყვანის „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დარღვევად, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილება და გადაცემის წამყვანებისთვის შესაბამისი რეკომენდაციის მიცემა - მომავალში პირდაპირი ეთერის დროს გამოიყენონ ისეთი თვალსაჩინო ხერხები, რომლითაც მაყურებლისთვის/მსმენელისთვის უფრო ნათელი იქნება ჟურნალისტის მხრიდან სავარაუდო დისკრიმინაციული გამონათქვამებისგან დისტანცირება და/ან რომლითაც ადვილად იდენტიფიცირებადი იქნება ჟურნალისტის მცდელობა აღარ მისცეს რესპონდენტს სავარაუდო დისკრიმინაციული გამონათქვამების გაუღერების შესაძლებლობა და/ან მიმართოს სხვა ისეთ ხერხებს, რომლითაც ჟურნალისტი შეძლებს თავიდან აიცილოს რესპონდენტის გამონათქვამებთან მაუწყებლის გაიგივება. ჟურნალისტის მიერ გამოიყენებული ხერხები უნდა იყოს აღქმადი ყველაზე მაღალი სტანდარტით - მოწყვლადი კატეგორიის თემის/პირთა ჯგუფის მიერაც კი.

კომისიამ იხელმძღვანელა, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, მაუწყებელთა ქცევის კოდექსით და სხვა საკანონმდებლო აქტებით, და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საჩივარში მითითებული გარემოებების გაანალიზების და საქმეში არსებული მასალების შესწავლის შედეგად გადაწყვიტა:

სარეზოლუციო ნაწილი

1. გადაცემის წამყვანების და მაუწყებლის მიერ მიღებულ იქნა ადეკვატური ზომები ეთერში რესპონდენტის მიერ გაუღერებული სადავო განცხადებების საპირისპიროდ, და კომისია არ თვლის რომ დაირღვა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“. თუმცა, კომისიის აზრით, მაიც დარჩა საკმარისი სივრცე, რომ ჟურნალისტის ქმედება არასაკმარისად ყოფილიყო აღქმული სექსისტურად მოწყვლადი კატეგორიის პირების/თემის მიერ.

2. დაკმაყოფილდეს სალომე გურგენიძის საჩივარი, და წამყვანებს მიეცეთ რეკომენდაცია - მომავალში, პირდაპირი ეთერის დროს რესპონდენტის მიერ გაკეთებული სავარაუდო

დისკრიმინაციული განცხადების გაკეთებისას, გამოიყენონ თვალსაჩინო ხერხები, რომლითაც შეძლებენ სავარაუდო დისკრიმინაციული განცხადებებისგან დისტანცირებას და/ან შეაფერხებენ ამგვარი განცხადებების გავრცელებას, რათა არ მოხდეს იმგვარი შეფასებების გაკეთება, რაც შესაძლოა აღქმულ იქნას სექსისტურად ან გენდერული ნიშნით შეურაცხმოფლად კომისიის მიერ გადაწყვეტილებაში დადგენილი ყველაზე მაღალი სტანდარტის გათვალისწინებით, მოწყვლადი კატეგორიის თემის/პირის მიერაც კი.

3. გადაწყვეტილება გაეგზავნოს დაინტერესებულ პირს.

4. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს წამყვანებს.

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ, გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 07 (შვიდი) დღის ვადაში, თვითონებულირების სააპელაციო ორგანოში (საბჭო). საჩივარი წარდგენილ უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: თბილისი, ზ. ანჯაფარიძის 5ა (ყოფილი სანდორო ეულის ქ. №5ა.)

კომისიის წევრები:

თამთა მურადაშვილი



დიმიტრი საძაგლიშვილი

დაჩი ბერუჩაშვილი

ლიკა მეტრეველი